საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი № 1

ქ. ზუგდიდი

18 აგვისტო 2023 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდა (შემდგომში - სამხარეო საკონსულტაციო საბჭო) სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის 44 წევრიდან (შემდგომში - საბჭოს წევრი) 26 საბჭოს წევრი. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **გიორგი გუგუჩია** - სახელმწიფო რწმუნებული.
2. **გიგა გაბელაია** -აბაშის მუნიციპალიტეტის მერი.
3. **გელა ხოშტაია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯომარის მოვალეობის შემსრულებელი.
4. **ზეზვა მაკალათია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
5. **დავით გუნია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
6. **მამუკა წოწერია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი.
7. **თეიმურაზ ბასილაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
8. **კახაბერ ჩანგელია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
9. **თორნიკე ჯანაშია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი.
10. **ვახტანგ გადელია** - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.
11. **საბა ოდიშარია** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
12. **ლევანი უჩანეიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
13. **ზაზა ნაჭყებია** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
14. **დათო გოგუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი.
15. **შოთა წურწუმია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
16. **გიორგი ხარჩილავა** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი.
17. **კორნელი სალია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
18. **დავით ბუკია** - ხობის მუნიციპალიტეტის მერი.
19. **ლევან ქავთარაძე** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
20. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
21. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
22. **ნუგზარ შუშანია** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
23. **ბექა ვაჭარაძე** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
24. **მაია დოლბაია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

25. **შალვა სარდალიშვილი** - - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
26. **თორნიკე კირთაძე** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი (სხდომის მდივანი).
2. **ნინო ვიბლიანი** - სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე.
3. **დავით კუხალეიშვილი** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
4. **დავით ვერავა** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
5. **ირაკლი ცანავა** - რეგიონული პროექტების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
6. **მაკა გერანტია** - რეგიონული პროექტების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
7. **პაატა ლაგვილავა** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საბჭოს სხდომას უძღვებოდა სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია (შემდგომში - სხდომის თავმჯდომარე), რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის მიზნით, მუნიციპალიტეტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტ(ებ)ის პრიორიტეტების დოკუმენტ(ებ)თან შესაბამისობაში დადასტურებული და საკრებულოს მოწონებული წინადადებების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, 2023 წელს დასაფინანსებლად ადგილობრივი თვითმმართველობ(ებ)ის პროექტების შერჩევის მიზნით, აბაშის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ იქნა, მუნიციპალიტეტ(ებ)ის პრიორიტეტების დოკუმენტ(ებ)თან შესაბამისობაში დადასტურებული და მუნიციპალიტეტ(ებ)ის საკრებულების შესაბამისი სამართლებრივი აქტით მოწონებული წინადადებები, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად.

.

მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებიდან და აბაშის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს თანდართული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის მიზნით, მუნიციპალიტეტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტ(ებ)ის პრიორიტეტების დოკუმენტ(ებ)თან შესაბამისობაში დადასტურებული და საკრებულოს მოწონებული წინადადებები (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).

2. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოწონებული წინადადებები განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ბ. გუგუჩია/

სხდომის მდივანი /ნ. გაბელია/